№38(39) 27.09.1991

# სარბიელი

თა[...]ალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

**გაზეთ „სარბიელის" რედაქცია თანაუგრძნობს დაღუპულთა ოჯახებს**

**თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, ქართველის ხელით ქართველის სისხლი დაიღვარა! ეს ერის ტრაგედიაა. ცოდვაა, რომელიც მძიმე ტვირთად დაგვაწვება. ძმათა სისხლით ხელგათხვრილებს მიწაზე ხალხი გაასამართლებს და ცაში ღმერთი განსჯის! ქართველები დავიღალეთ გაუთავებელი არასტაბილურობითა და სისხლიანი შეხლა-შემოხლით. მართივი ჭეშმარიტებაა: როცა ოჯახში არეულობაა, პასუხი, პირველ რიგში, ოჯახის უფროსს მოეკითხება.**





## თენგიზ სიგუას პრეს-კონფერენცია

ოთხშაბათს ტელევიზიის შენობაში შედგა ბატონ თენგიზ სიგუას პრეს-კონფერენცია. მან დასაწყისშივე უარყო წინა ღამით მომხდარი ინციდენტის ოფიციალური ვერსია. მისი თქმით ეს იყო ხელისუფლების მორიგი პროვოკაცია. სინამდვილეში კი მოხდა შემდეგი: ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი ოფიცერი ზურაბ აფხაზავა ღამე შეუძლოდ გახდა. მას ჩააცვეს ხამოქალაქო ტანსაცმელი და მეუღლესთან და ორ გვარდიელთან ერთად გააგზავნეს საავადმყოფოში. წერეთლის პროსპექტზე მანქანა გაფუჭდა და ერთ-ერთი გვარდიელი დაბრუნდა ტელევიზიის შენობასთან ახალი მანქანის წასაყვანად. გაფუჭებულ მანქანასთან დაბრუნებისას აღმოჩნდა, რომ აფხაზავა მეუღლითურთ დაპატიმრებული იქნა მილიციის მიერ (ისინი თელასის შენობაში ჰყავდათ შეყვანილი). გვარდიელთა მოთხოვნამ აბხაზავას განთავისუფლების შესახებ შედეგი არ გამოიღო და ატყდა სროლა. ბატონ თენგიზ სიგუას თქმით, თელასის ის შენობა არ წარმოადგენს რაიმე სტრატეგიულ ობიექტს. ის მხოლოდ ადმინისტრაციული კორპუსია, სადაც ეკონომისტები, ბუღალტრები და მსგავსი პერსონალი ზის. გვარდიის სახელით სიგუამ პროტესტი განაცხადა ხელისუფლების მოქმედების გამო. „აფხაზავას და მისი მეუღლის ბედი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია" – თქვა ბოლოს თენგიზ სიგუამ. კითხვაზე, ჰქონდა თუ არა პირადად მას კონტაქტი ედუარდ შევარდნაძესთან, თენგიზ სიგუამ უპასუხა: დიახ, მქონდა... 1978 წელს, რომელიღაც სამეურნეო აქტივზე. მას შემდეგ არავითარი კონტაქტი არ მქონია, თუ არ ჩავთვლით მისალოც დეპეშას პრემიერ-მინისტრად ჩემი დანიშვნის გამო. თუმცა ასეთი დეპეშა თვით გამსახურდიამაც მიიღო.

შემდეგ ბატონმა სიგუამ განაცხადა: ჩვენი ინფორმაციით საქართველოს ცენტრალური ბანკიდან მთავრობა იღებს ფულის დიდ რაოდენობას (ამ ფაქტის შესამოწმებლად ბანკში მისული ორი ჟურნალისტი მილიციამ დააკავა). ვეჭვობ რომ ეს ფული იარაღის ყიდვას მოხმარდება. გვაქვს ფაქტები, რომ საბჭოთა არმიის ნაწილებში უკვე მოვიდნენ იარაღის შესაძენად. მე სასწრაფოდ დავუკავშირდი პატრიკეევს და ვაცნობე ამის შესახებ. მან მიპასუხა, რომ მიიღებს ყველა ზომას, რათა იარაღის გამოტანა ნაწილებიდან არ მოხდეს. პატრიკეევისაგან მივიღეთ გარანტიაც რომ ოლქის ჯარები არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევიან საქართველოში მიმდინარე პროცესებში.

პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ხელისუფლება კვლავ დემაგოგიას ეწევა. ხალხმრავალ მიტინგებსა თუ ტელევიზიით გამოსვლისას ისინი მოუწოდებენ დიალოგისაკენ, სინამდვილეში კი ყოველგვარ მოლაპარაკებაზე უარს ამბობენ. „დღეს დილითაც შევთავაზეთ ხელისუფლებას დიალოგზე წასვლა, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი პასუხი არ მიგვიღია" – განაცხადა თენგიზ სიგუამ.

ბოლოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თქვა: მე არავის და არაფრის ხელმძღვანელი არა ვარ. მინდა მხოლოდ ერთი რამ – სიმართლე ვუთხრა ქართველ ხალხს. ამის საშუალებას კი არ მაძლევენ.

## რა მოხდა შავნაბადაზე?

ინფორმაცია პირველწყაროდან

**ტელევიზიაში მომქმედ პრესცენტრში შევხვდით 26 სექტემბრის ღამით შავნაბადაზე მომხდარი ინციდენტის მონაწილე ერთ-ერთ გვარდიელს, რომლის ვინაობასაც შეგნებულად არ ვასახელებთ. აი, რა გვიამბო მან.**

შავნაბადას პირველ პოსტზე, შესასვლელთან ვიყავით 6 კაცი. დაახლოებით ღამის 1 საათზე გაისმა კონსერვის ქილების ხმაური. თავიდან ვიფიქრეთ, რომ პირუტყვი იყო, ხოლო შემდეგ, როდესაც ეს ხმაური რამდენიმე ადგილიდან განმეორდა, მივხვდით, რომ ადგილი ჰქონდა პროვოკაციას. პაროლის მოთხოვნის შემდეგ გასროლა გავაკეთე ჰაერში. ამას თავდამსხმელების მხრიდან მოჰყვა სხვადასხვა ადგილიდან გამალებული სროლა.

შესასვლელთან ახლოს არის სასაფლაო, რომელიც მთლიანად გადაცხრილულია. დაიცხრილა ჩვენი ავტომანქანა. თავდამსხმელებს ეცვათ მწვანე ტყვიაგაუმტარი ჟილეტები. ერთ-ერთმა მათგანმა ნასვლის წინ მოგვაძახა: დედას გიტირებთ, სისხლი მაინც დაიღვრებაო.

თავდამსხმელებს რა მიზანი ამოძრავებდათ არ ვიცით. დაახლოებით 30-40 კაცი იქნებოდა. ჩვენი მხრიდან მსხვერპლი არ არის.

რადიო „თავისუფლება". 24 სექტემბერი.

## აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა ადამიანის უფლებების შესახებ კონფერენციაზე, რომელიც მოსკოვში ტარდება, მაქს კემპელმანმა გააკრიტიკა საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. კემპელმანის თქმით გამსახურდიამ უღალატა იმ იდეებს, რისთვისაც იბრძოდა, როცა დისიდენტი იყო. ამერიკის დელეგაციის მეთაურმა თქვა, რომ გამსახურდიას, რომელმაც გაიარა გზა პოლიტპატიმრიდან პრეზიდენტობამდე, როგორც ჩანს დაავიწყდა რას ნიშნავს ისეთი ცნება როგორიც „ადამიანის უფლებებია". კემპელმანმა, რომელმაც აშკარად მიანიშნა, რომ აშშ-ს მთავრობის სახელით გამოდის, გააკრიტიკა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება ოპოზიციური ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გია ჭანტურიას დაპატიმრების შესახებ. კემპელმანის თქმით, გამსახურდიამ ან უნდა გაანთავისუფლოს ჭანტურია, ან ახსნას თავისი მოქმედება ჭანტურიას მიმართ.

## ეს არ გვეკადრება!

„ცხოვრება და კანონის" 24 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი მიმართვა

გაზეთ „ცხოვრება და კანონის" რედაქტორს

მოხდა აღმაშფოთებელი ფაქტი – ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დააპატიმრეს ქართველი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ოპერატორი გიორგი ხაინდრავა, რომლის მოქალაქეობრივი პოზიცია, ცხოვრებისეული მრწამსი ყოველთვის სამაგალითო იყო. უაღრესად ნიჭიერი, თავის საქმეზე შეყვარებული შემოქმედი გიორგი ხაინდრავა საქართველოს ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია და ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია იმის წარმოდგენაც კი, რომ მან სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. მეტიც, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი დაპატიმრებულია უკანონოდ, ყოველგვარი სამართლებრივი წესისა და ფორმის დარღვევით. კატეგორიულად მოვითხოვთ მის განთავისუფლებას და იმ პირთა პასუხისგებაში მიცემას, ვინც ეს უკანონობა ჩაიდინა.

სანდრო მამასახლისი – ჟურნალისტი

ლადო დვალი – ტელეოპერატორი

მიხეილ მჭედლიძე – ტელეჟურნალისტი

გურამ მამულია – ისტორიკოსი

ნოდარ ჭელიძე – ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლის მასწავლებელი

რაულ ლაგვილავა – თსუ სოციოლოგიური კათედრის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

ციალა სვანიძე – თსუ პროფესორი

ამირან სინაურიძე – ტელეჟურნალისტი

ზაზა ქინქლაძე – ჟურნალისტი

კობა გელაშვილი – ტელეოპერატორი

ვასილ ჭყონია – სპორტსმენი

ზინა დიაკონიძე – ტელეჟურნალისტი

გოგი ხარაბაძე – მსახიობი

მაკა მიქაძე – ტელეჟურნალისტი

ჯ. ყურაშვილი – ტელეოპერატორი

გივი რაჭველიშვილი – ტელეოპერატორი

თენგიზ ქუთათელაძე – ოპერატორი

ნუგზარ ერქომაიშვილი – ოპერატორი

მიხეილ მედნიკოვი – ოპერატორი

იური კიკაბიძე – კინოოპერატორი

გ. გაბესკირია – რეჟისორი

მ. კალატოზიშვილი – რეჟისორი

ლევან ზაქარეიშვილი – რეჟისორი

ლალი კოლხიდაშვილი – რეჟისორ-მონტაჟორი

გარი კუზნეცოვი – ხმის ოპერატორი

მერაბ გაგუა – რეჟისორი

დიმიტრი ბედევანიშვილი – ხმის ოპერატორი

ლევან უზუნიანი – რეჟისორი

ოთარ სადრაძე – რეჟისორი

თენგიზ აბულაძე – კინორეჟისორი

ნუგზარ ნოზაძე – ოპერატორი

დევი აბაშიძე – რეჟისორი

გიორგი შენგელაია – რეჟისორი

თეა გაგუნია – რედაქტორი

ა. მაისურაძე – კინოოპერატორი

ალექსანდრე შენგელია – ჟურნალისტი.

**გაზეთ „სარბიელის" რედაქციის თანამშრომლები ერთსულოვნად უერთდებიან ამ მოთხოვნას.**

# საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი კება მბაი ამბობს: „გარწმუნებთ, სათანადო დროს მივიღებთ ისეთივე გადაწყვეტილებას, როგორც დღეს...“

როგორც უკვე ცნობილია, 17-18 სექტემბერს, ბერლინში გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომა, რომელზეც განსახილველად გატანილი იყო სამი საკითხი: 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად ბერლინის კანდიდატურის განხილვა, ბალტიისპირეთის ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მიღება, უფრო სწორედ ხელახალი მიღება საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში და დოპინგის საკითხი.

შეიძლება ითქვას, რომ სოკ-ის აღმასკომის სხდომების ისტორიას, რომლებიც 1920 წლიდან ტარდება, არ ახსოვს აკრედიტებულ ჟურნალისტთა ასეთი რაოდენობა — დაახლოებით 260 ადამიანი მთელი მსოფლიოდან. საბჭოთა კავშირიდან იყო მხოლოდ საკდესის კორესპოდენტი, სხვა რესპუბლიკებიდან — არავინ.

ამდენად, ორმაგად სასიხარულოა, რომ ჟურნალისტთა ამ თავყრილობას ესწრებოდა ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპოდენტი გერმანიაში, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე დავით კაკაბაძე, რომლის გვარის გასწვრივაც ოფიციალურ აკრედიტაციო სიაში ეწერა — საქართველო, გაზეთი „სარბიელი“.

თუმცა, სჯობს, თავად მას მოვუსმინოთ:

— ასეთ ოფიციალურ ღონისძიებაზე მოხვედრა საკმაოდ ძნელი საქმეა. როგორც სეოკ-ის წარმომადგენელი ვერაფრით ვერ მოვხვდებოდი სოკ-ის სხდომაზე. ოფიციალური აკრედიტაციის მიღებაში კი უდიდესი დახმარება გამიწიეს ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა, რომლებსაც „სარბიელის“ მკითხველი კარგად იცნობს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან. ესენი არიან ულრიჰ ლოკე, „დოიჩერ-დეპეშენ-დინსტის“ სააგენტოს კორესპონდენტი და რადიოსადგურ „დოიჩლანდფუნკის“ სპორტულ გადაცემათა დირექტორი ჰერბერტ ფიშერ-ზოლმსი.

სოკ-ის წესების თანახმად, აღმასკომის სხდომებს ესწრება აღმასკომის თერთმეტი წევრი და ისინი, ვისი საკითხიც ირჩევა. სხდომის შედეგებს ჟურნალისტები იგებენ პრეს-კონფერენციებზე, რომლებიც დღეში ორჯერ იმართება და რომელზეც ინფორმაციას აკეთებს სოკ-ის პრეს-მდივანი ქალი მიშელ ვერდიე. პრეს-კონფერენციებს ხშირად ესწრება სოკ-ის რომელიმე მაღალი რანგის მოხელეც.

ჩემი მუშაობა დავიწყე იმით, რომ იქვე, პრეს-ცენტრში დავბეჭდე საინფორმაციო ბიულეტენის ტიპის ფურცელი, სადაც ძალზე მოკლედ ვწერდი იმის თაობაზე თუ როდის დაარსდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ვინ არიან მისი პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები, რამდენი და რა კომისიებია შექმნილი, რა მიზანს ისახავს სეოკ-ი, რომ შექმნილია ოლიმპიური აკადემია, ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი და ა.შ. იქვე მქონდა ლაპარაკი ქართველ ოლიმპიელებზე. ერთი სიტყვით, ამ ბიულეტენში შევეცადე მოკლედ ჩამეტია ქართული ოლიმპიური მოძრაობის მთელი ისტორია და დღევანდელი დღე. თავიდან ბიულეტენი 10 ცალად გავამრავლე, მაგრამ ჩემი კოლეგების ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ კიდევ რამდენჯერმე მომიწია მისი გადამრავლება. როგორც შემდეგ გაირკვა, ძალზე ბევრმა გაზეთმა გამოიყენა იქ დაბეჭდილი ინფორმაცია: ზოგმა ნონა გაფრინდაშვილზე დაწერა, ზოგმა ვიქტორ სანაევზე. აღნიშნავდნენ, რომ ამდენი ოლიმპიური ჯილდოს პატრონები ნამდვილად არიან სოკ-ის წევრობის ღირსიო. ერთმა უნგრულმა გაზეთმა ასეთი სათაურით გამოაქვეყნა წერილი: „დავით კაკაბაძე ამბობს: ჩვენ ოლიმპიადაზე არ წავალთ“. ერთი სიტყვით, ბიულეტენმა ძალზე დიდი სამსახური გამიწია.

მანამდე კი, სანამ სოკ-ის სხდომა დაიწყებოდა, ადგილობრივ პრესაში გამოჩნდა სოკ-ის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის ვიტალი სმირნოვის ინფორმაცია, სადაც იგი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ალბერვილსა და ბარსელონის ოლიმპიადებში სსრკ ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობას მიიღებენ 12 რესპუბლიკის წარმომადგენლებიო. ეს ციფრი ფიგურირებდა ყველგან.

მე ვთხოვე ჰერბერტ ფიშერ-ზოლმსს, რომ დამხმარებოდა ამ ცრუ ინფორმაციის გაბათილებაში. პირველივე დღეს, პრეს-კონფერენციის შემდეგ ფიშერ-ზოლმსმა თავი მოუყარა ყველა დიდი ჟურნალ-გაზეთისა და საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტებს. გაიმართა პატარა, იმპროვიზირებული პრეს-კონფერენცია. უამრავი შეკითხვა დამისვეს, აინტერესებდათ ყველაფერი. რა თქმა უნდა აინტერესებდათ სსრკ-ში შემავალი სხვა რესპუბლიკების ამბებიც, მაგრამ ძირითადი აქცენტი საქართველოზე კეთდებოდა. ამ შეხვედრას მე ძალზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგანაც მეორე დღესვე გაზეთებში გაჩნდა ცნობები, სადაც ნახევარი თუ არა, მესამედი მაინც საქართველოს ეთმობოდა. ყველგან ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სმირნოვის ინფორმაცია ეჭვს იწვევს.

მეორე დღეს, პრეს-კონფერენციაზე მიშელ ვერდიესთან ერთად მოვიდა სოკ-ის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი, სენეგალელი კება მბაი, რომელიც ძალზე გავლენიან პიროვნებად ითვლება ოლიმპიურ წრეებში. იმ დღეს, 18 სექტემბერს, სოკ-ის წევრებად აღადგინეს ბალტიისპირელები და საუბარიც ძირითადად ამ თემას ეხებოდა. დარბაზში ჩემს გვერდით იჯდა ლიტვის ეოკ-ის პრეზიდენტი არტურას პოვილიუნასი, რომელიც მარწმუნებდა, რომ ძალიან მალე თქვენც მიგიღებენო. ადრე ჩვენც უარით გვისტუმრებდნენ, ახლა კი სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა და სოკ-ი ძალზე დიდ დათმობაზე მიდისო.

გადავწყვიტე ხელიდან არ გამეშვა ხელსაყრელი შემთხვევა და მბაის შევეკითხე: „საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ყოველთვის უსვამს ხაზს იმას, რომ ყველა სადავო საკითხში გადაწყვეტილება უნდა იყოს ისეთი, რომ არ დაიჩაგროს სპორტსმენი. ამ დებულების გათვალისწინებით რა შესაძლებლობებს ხედავთ საქართველოს სპორტსმენებისათვის, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ აპირებენ საბჭოთა კავშირის დროშის ქვეშ ბარსელონაში გამგზავრებას. ხომ არ ფიქრობთ, რომ შესაძლებელია მისი ცალკეული სპორტსმენების ასპარეზობაზე გამოსვლა ოლიმპიური დროშით?“ პასუხი ძალზე დიპლომატიური და ფრთხილი იყო: „საქართველო არ არის ერთადერთი საკითხი, რომელიც ჩვენ უნდა განვიხილო.“ ჩვენ გვიდევს საქართველოს და, ამასთან, კიდევ სხვა თხუთმეტი განაცხადი და ყოველ ცალკეულ შემთხვევას ჩვენ ვიხილავთ ძალიან დიდი ყურადღებით და გულდასმით. მე გარწმუნებთ, რომ სათანადო დროს მივიღებთ ისეთ გადაწყვეტილებას, როგორიც მივიღეთ დღეს ბალტიისპირელების საკითხზე. რა თქმა უნდა, ყველა სადავო საკითხი უნდა

(დასასრული მე-3 გვერდზე)

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გორდა | 8 | 7 | 1 | 0 | 20:6 | 22 |
| 2. ცხუმი | 8 | 7 | 0 | 1 | 26:11 | 21 |
| 3. ოდიში | 8 | 6 | 0 | 2 | 13:9 | 18 |
| 4. იბერია | 7 | 5 | 0 | 2 | 16:6 | 15 |
| 5. გურია | 8 | 5 | 0 | 3 | 21:13 | 15 |
| 6. მზიური | 8 | 5 | 0 | 3 | 9:10 | 15 |
| 7. მრეტები | 8 | 4 | 1 | 3 | 12:9 | 13 |
| 8. სამგურალი | 8 | 4 | 0 | 4 | 10:13 | 12 |
| 9. კოლხეთი-13 | 8 | 3 | 2 | 3 | 10:10 | 11 |
| 10. შევარდენი-06 | 8 | 3 | 1 | 4 | 11:11 | 10 |
| 11. ქუთაისი | 8 | 3 | 1 | 4 | 14:15 | 10 |
| 12. ალაზანი | 8 | 3 | 1 | 4 | 8:11 | 10 |
| 13. სამტრედია | 7 | 3 | 0 | 4 | 13:13 | 9 |
| 14. დილა | 8 | 2 | 3 | 3 | 12:14 | 9 |
| 15. კოლხეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:11 | 9 |
| 16. მარგვეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:12 | 8 |
| 17. სულორი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:16 | 7 |
| 18. მერცხალი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:16 | 5 |
| 19. ბათუმი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:18 | 4 |
| 20. ამირანი | 8 | 1 | 0 | 7 | 4:17 | 3 |

### ეროვნული ჩემპიონატი

VIII ტური

შევარდენი-06 — დილა 1:0
კოლხეთი-13 — ბათუმი 2:3
მზიური — მრეტები 1:0
კოლხეთი — მერცხალი 3:1
სულორი — სამგურალი 2:0
სამტრედია — ალაზანი 1:0
ამირანი — გორდა 0:1
გურია — ოდიში 4:1
ქუთაისი — ცხუმი 1:3

**„იბერიისა“ და „მარგვეთის“ მატჩი გადადებულია. თასის 1/16 ფინალის განმეორებითი შეხვედრები ნაცვლად 26 სექტემბრისა გაიმართება 15 ოქტომბერს.**

ეროვნული ჩემპიონატის მორიგი, IX ტურის მატჩები, რომლებიც უნდა გამართულიყო 29 და 30 სექტემბერს, შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო გადადებულია.

### ევროპის საკლუბო ტურნირები

19 სექტემბერს ჩატარებული მატჩები. თასების თასი: „ლა ვალეტა“ (მალტა) — პორტუ“ (პორტუგალია) 0:3. უეფა-ს თასი: „შალგეირუში“ (პორტუგალია) — „კანი“ (საფრანგეთი) 1:0; კრ რეიკიავიკი (ისლანდია) — „ტორინო“ (იტალია) 0:2; ცსკა (ბულგარეთი) „პარმა“ (იტალია) 0:0; „ოვიედო“ (ესპანეთი) — „ჯენოა“ (იტალია) 1:0.

## ევროპის ჩემპიონატი

### I ჯგუფი

#### ისლანდია — ესპანეთი 2:0

**რეიკიავიკში ესპანეთის ნაკრებმა პირველი მატჩი ჩაატარა ახალი მწვრთნელის ვისენტე მიერას ხელმძღვანელობით და სენსაციური დამარცხება განიცადა. შესაძლოა ესპანელთა ცუდ თამაშს ხელი უამინდობამაც შეუწყო (რეიკიავიკში სამი გრადუსი ტემპერატურა იყო) მაგრამ, ფაქტია, რომ ესპანელებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა (ორლიგსონი და სვერისონი).**

**12 სექტემბერს ესპანეთის ნაკრები ჯგუფის აშკარა ფავორიტს — საფრანგეთის ნაკრებს უმასპინძლებს. ფრანგებს ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად ფრეც ჰყოფნით.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 15-4 | 12 |
| ჩეხოსლოვაკეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 9-6 | 8 |
| ესპანეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 14-9 | 4 |
| ისლანდია | 7 | 2 | 0 | 5 | 6-7 | 4 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 1-19 | 2 |

### III ჯგუფი

#### სსრკ — უნგრეთი 2:2

**ამ მატჩში, რომელიც მოსკოვში ჩატარდა, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მიმდინარე შესარჩევ ტურნირში პირველი გოლი გაუშვა. ეს გოლი მე-15 წუთზე გაიტანა კიპრიხმა. ამის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელებმა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება და წინ გასვლა (შალიმოვი და კანჩელსკისი), მაგრამ 83-ე წუთზე ისევ კიპრიხმა გაათანაბრა ანგარიში.**

**12 ოქტომბერს სსრკ-ს ნაკრები იტალიის ფეხბურთელებს უმასპინძლებს.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 6 | 4 | 2 | 0 | 10-2 | 10 |
| ნორვეგია | 6 | 3 | 1 | 2 | 8-4 | 7 |
| უნგრეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-9 | 7 |
| იტალია | 5 | 2 | 2 | 1 | 9-4 | 6 |
| კვიპროსი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-20 | 0 |

### IV ჯგუფი

#### ფარერის კუნძულები — დანია 0:4

**ამ შეხვედრაში, რომელიც დანიის ქალაქ ლანდსკრუნაში გაიმართა, დანიელებმა ანგარიში უკვე მე-2 წუთზე გახსნეს (გოლი პენალტით კრისტოფტმა გაიტანა). ამის შემდეგ კრისტენსენმა, პინგელმა და ვილფორტმა კიდევ სამი გოლი გაიტანეს ფარერის კუნძულების ნაკრების კარში.**

**9 ოქტომბერს ავსტრიის ნაკრები დანიელ ფეხბურთელებს უმასპინძლებს.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 6 | 5 | 0 | 1 | 20-4 | 10 |
| დანია | 7 | 4 | 1 | 1 | 13-6 | 9 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 1 | 3 | 2 | 8-8 | 5 |
| ავსტრია | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 3 |
| ფარერის კ-ბი | 7 | 1 | 1 | 5 | 3-24 | 3 |

## ჩვენი ბერძენი ფეხბურთელი

**ანდრო ნინიადისს ქართველი გულშემატკივარი ანდრო კიურჯიევად იცნობს. მან თავისი ნამდვილი გვარი ცოტა ხნის წინ აღიდგინა. იგი საცხოვრებლად საბერძნეთში მიდის.**

— ანდრო, შენ ბოლოს „ბათუმში“ თამაშობდი. საქართველოს კლუბების ნაკრებშიც გაქვს ერთი თამაში ჩატარებული. ბათუმამდე სად იყავი?

— მე თბილისელი ვარ. ბავშვობისას „ნორჩ დინამოელში“ ვვარჯიშობდი. 1988 წელს, ზონინმა „დინამოს“ დუბლში მიმიწვია. შემდეგ სპი-ის გუნდში ვთამაშობდი, შემდეგ ცოტა ხნით ისევ „დინამოში“. საქართველოს ჩემპიონატი რომ დაიწყო, კვლავ ინსტიტუტის გუნდს დავუბრუნდი, სადაც ერთი წელი ვითამაშე. ბოლოს „ბათუმის“ მწვრთნელებმა „შემნიშნეს“...

— საბერძნეთში როდის მიდიხარ?

— ერთ კვირაში. ოჯახი მოგვიანებით წამოვა, მანამდე კი, ალბათ, იქაურ ნათესავებთან გავჩერდები.

— უკვე იცი რომელ გუნდში ითამაშებ?

— ალბათ ქალაქ ვერიას „პონტივერიაში“. ყოველ შემთხვევაში, ერთი თვის წინ ტურისტად ვიყავი ჩასული და ამ გუნდთან ვივარჯიშე. მგონი უკმაყოფილო არ დარჩნენ. თუ ჩამოხვალ, ჩვენთან მოდიო — მითხრეს.

— შენ „დინამოს“ პირობებიც იცი, „ბათუმისაც“ და „პონტივერიისაც“. შეგიძლია შეადარო?

— „პონტივერიას“ ჩვენებური ბაზა არა აქვს, ფეხბურთელები სახლიდან დადიან. აქვთ ორი შესანიშნავი სავარჯიშო მოედანი, სპორტული ინვენტარი არ უჭირთ. აქ ერთი წელია ბუცები ვერ მიშოვნია, მათ კი სამი წყვილი გამომატანეს. სხვათა შორის ჩემთან ერთად, ჩემი ახლობელი, ზესტაფონის „მარგვეთის“ ფეხბურთელი ოდისეი ავრამიდისიც მოდის.

— საქართველოში როდის ჩამოხვალ?

— ვნახოთ, როდესაც ღმერთი ინებ[illegible]. ისე კი, უეჭველად ჩამოვალ.

— საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობაში?

— (იცინის) აუცილებლად.

ესაუბრა ილია ბაბუნაშვილი.

## სოკ-ის სხდომა

გადაწყდეს სპორტსმენთა სასარგებლოდ".

ჩემის აზრით, ამაზე უკეთეს პასუხს იგი ვერც გამცემდა. პრეს-კონფერენციის შემდეგ ჩემთან მოდიოდნენ კოლეგები და მილოცავდნენ. ერთი სიტყვით, უკვე აღარ იყო ტრაფარეტული პასუხი: ერთი ქვეყანა — ერთი გუნდი...

ბოლო დღეს გაიმართა შემაჯამებელი პრეს-კონფერენცია სოკ-ის პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩთან. მე, რა თქმა უნდა, იგივე შეკითხვით ველარ მივმართავდი მასაც, მაგრამ, ჩემდა ბედად, ადგა ერთი ესპანელი ჟურნალისტი და ჰკითხა: „სსრკ-ში ასეთი ძვრები მიმდინარეობს და როგორც აქ ითქვა, საქართველო არ მიდის ოლიმპიადაზე. რას იტყვით ამის და სხვა რესპუბლიკების შესახებ, აგრეთვე, მაგალითად, კატალონიის თაობაზე?" ჩემი კოლეგა, ეტყობა, კატალონიიდან იყო და თავისი მშობლიური კუთხის ბედი უფრო აინტერესებდა. სამარანჩის პასუხი, ფაქტობრივად, ემთხვეოდა მზაის პასუხს, ოღონდ მან დასძინა, რომ ბარსელონას ოლიმპიადამდე არც ერთ ოლიმპიურ კომიტეტს არ მივიღებთ, შემდეგ კი განვიხილავთ განცხადებებსო. პასუხი ძალზე ფრთხილი იყო, მაგრამ არ შეიმჩნეოდა არც გაბრაზება, არც გაღიზიანება. იქვე, მეორე ჟურნალისტმა დაუსვა შეკითხვა საბჭოთა კავშირზე და იმის თაობაზე, რომ ვრცელდება ურთიერთ-საწინააღმდეგო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გამოვლენ სსრკ ნაკრების შემადგენლობაშიო. ხომ არ აჯობებს, რომ სოკ-მა განიხილოს წინადადება, რომ რესპუბლიკები გამოვიდნენ თავიანთი დროშებითა და ჰიმნითო. აქ, სამარანჩს, ჩემის აზრით, დაეტყო გაღიზიანება სმირნოვის მისამართით, რადგან თქვა, რომ მათთან ასეთი წინადადება არ შესულა, მაგრამ მზად არიან ნებისმიერი საკითხის განსახილველად. „რაც შეეხება მონაწილე რესპუბლიკების რიცხვს, — დასძინა სამარანჩმა, — ვფიქრობ, მათ ჯერ ერთმანეთში უნდა მოილაპარაკონ და მერე წარმოგვიდგინონ საბოლოო წინადადება". ეს რეპლიკა აშკარად სმირნოვის მისამართით იყო ნათქვამი, რომელიც ჩემს წინ იჯდა და, სამწუხაროდ, მის რეაქციას ვერ ვხედავდი.

სეოკ-ის აღმასკომის სხდომა დამთავრდა, მაგრამ ამ საკითხს კვლავ და კვლავ უბრუნდებიან გაზეთები და საინფორმაციო სააგენტოები. გამოხმაურებები დაიბეჭდა ისეთ გავლენიან გაზეთებში, როგორიცაა „ფრანკფურტერ ალგემაინე", „ზიუ დოიჩენ ცაიტუნგი", „ბერლინერ მორგენპოსტი", „შტუტგარტენ ნახრიჰ-ტენი". ფართოდ გააშუქეს ეს ღონისძიება ისეთმა მსხვილმა სააგენტოებმა, როგორიცაა dpa (დოიჩე-პრესე-აგენტურ), sid (შპორტ-ინფორმაციონს-დინსტ), ddp (დოიჩერ-დეპეშენ-დინსტ).

აქვე მინდა გაგაცნოთ ნაწყვეტები იმ პუბლიკაციებიდან, რომლებიც დაიბეჭდა გაზეთებში „დი ველტი" და „ჰამბურგერ აბენდბლატი", სადაც წინა პლანზე იყო წამოწეული საქართველოს საკითხი.

„დი ველტი". 20 სექტემბერი. ავტორი — იურგენ ფიშერი. „...ოლიმპიური ოჯახისათვის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა მომავალშიც აქტუალური იქნება, იმის მიუხედავადაც კი, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები სულ იმეორებდნენ, რომ ბალტიისპირეთის საკითხში დადებითი გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის აქტიურმა მხარდაჭერამაც განაპირობა, იმის მიუხედავადაც კი, რომ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვი გამუდმებით იმეორებდა, რომ 12 რესპუბლიკა ერთიან საბჭოთა გუნდს შექმნისო. აკი უკვე ბერლინშივე იკითხა ქართველმა ჟურნალისტმა დავით კაკაბაძემ, შეეძლებათ თუ არა ამ რესპუბლიკის სპორტსმენებს ოლიმპიური დროშის ქვეშ შემოაბიჯონ ოლიმპიურ სტადიონზე. ამ შეკითხვას მზაიმ ასე უპასუხა: „საქართველო არ არის ერთადერთი შემთხვევა. ყველა ცალკეული საკითხი გულდასმით და ყურადღებით შეისწავლება და პოლიტიკური სიტუაციის განვითარებისა და სპორტსმენების ინტერესების გათვალისწინებით გადაწყდება". ესე იგი, გამოდის, რომ მაინც შეიძლება, რომ ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამხტომში ვიქტორ სანეევი, როგორც 1989 წლის ოქტომბერში დაფუძნებული საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წამყვანი ფუნქციონერები, უკვე 1992 წელს შეუძლვნენ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებს ოლიმპიურ სტადიონზე? უფრო მოსალოდნელია, რომ სოკ-ი რაიმე სხვა დროებით გადაწყვეტილებას მონახავს და ასე შეეცდება სიტუაციის კონტროლირებას. მართალია, სამარანჩი ხშირად იმეორებს, რომ ყველა სპორტსმენს უნდა შეექმნას იმის პირობა, რომ მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიადაში და ჩვენ (ე.ი. სოკ-ი) მოქნილი უნდა ვიყოთ ყველა ცალკეულ შემთხვევაშიო, მაგრამ სლოვენიასა და ჰორვატიას, ეტყობა, მაინც გაეგზავნებათ წინადადება, რომ 1992 წელს იუგოსლავიის გუნდის შემადგენლობაში გამოვიდნენ ოლიმპიადაზე ოლიმპიური დროშის ქვეშ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ წინადადებას უარით შეხვდებიან იქ, ისევე, როგორც უარით ხვდებიან საბჭოთა კავშირში. აი, მაგალითად, დავით კაკაბაძემ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რეფერენტმა თქვა: „ჩვენმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ აღარ გამოვიდეს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში". იგივეს ამბობენ უკრაინელები და მოლდოველები".

„ჰამბურგერ აბენდბლატი". 19 სექტემბერი. ავტორი — კლაუს ბლუმე. სათაური — სპორტული იმპერია საბჭოთა კავშირში აღარ არსებობს. „...ესე იგი, იშლება მოწინავე სპორტული იმპერია — საბჭოთა კავშირი? ვინ მიყვება ბალტიისპირელებს, ყველაზე გვიან, 1992 წლის ოლიმპიურ კონგრესზე ბარსელონაში? რა თქმა უნდა საქართველო, რომელიც არც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მონაწილეობს და მომავალში არც ოლიმპიადებზე აპირებს თავისი წარმომადგენლების გაგზავნას საბჭოთა კავშირის ნაკრებების შემადგენლობაში და ამაყობს იმით, რომ ოლიმპიურ თამაშებზე 1952 წლიდან მოყოლებული 28 ოქროს, 22 ვერცხლისა და 34 ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული... თუმცა, აქამდე, საბჭოთა კავშირისათვის".

დავით კაკაბაძე,

„სარბიელის" საკუთარი კორესპონდენტი.

კიოლნი.

## ჭადრაკი

### პირველი პარტია — ყაიმი

გუშინ მანილაში დაიწყო მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ქალთა შორის. წინა დღეს კი ჩატარდა კენჭისყრა, სადაც გაირკვა, რომ ყველა კენტ პარტიებს თეთრი ფიგურებით ითამაშებს პრეტენდენტი, ჩინელი დიღოსტატი სე ჯუნი. პირველი პარტია ყაიმით დამთავრდა.

## ფორმულა 1

# პატრეზეც ზეიმობს, სენაც

იტალიელი პილოტის რიკარდო პატრეზეს გამარჯვება ეშტორილზე, ერთი შეხედვით, მოულოდნელი იყო. მანამდე ხომ პორტუგალიის „გრან პრის" შვიდ გათამაშებაში იგი ვერც ერთხელ ვერ მოხვდა პრიზიორთა სამეულშიც კი. მეორე მხრივ, ეს შედეგი კანონზომიერიც გახლდათ, რადგან პატრეზე „უილიამს-რენოთი" ასპარეზობს. ეს მანქანა კი მთელი რიგი მაჩვენებლებით წლეულს ყველას ჯობს.

აირტონ სენას მეორე ადგილი და 6 ქულა სწორედ ჩემპიონობის ტოლფასია. ახლა მას პრაქტიკულად ველარავინ დაეწევა.

ეშტორილში ტრიუმფი პატრეზეს მეხუთე მოგებული დიდი პრიზია.

1. რიკარდო პატრეზე („უილიამსი") — 1:35.42,304;

2. აირტონ სენა („მაკლარენი") — ჩამორჩა 20,941 წამით;

3. ჟან ალეზი („ფერარი") — 53,554;

4. პიერ-ლუიჯი მარტინი („მინარდი") — 1.03.498;

5. ნელსონ პიკე („ბენეტონი") — 1.10,033;

6. მიჰაელ შუმახერი („ბენეტონი") — 1.16,582.

ერთი წრის გავლის საუკეთესო დრო: ნაიჯელ მენსელი („უილიამსი") — 1.18,179 წუთი.

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. მაკლარენი — 114; 2. უილიამსი — 103; 3. ფერარი — 43; 4. ბენეტონი — 36; 5. ჯორდანი — 13; 6. ტირელი — 11; 7. მინარდი — 6; 8. დალარა — 5; 9. ლოტუსი — 3; 10. ლოლა — 2.



| | | | აშშ | ბრაზილია | სან-მარინო | მონაკო | კანადა | მექსიკა | საფრანგეთი | ინგლისი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | პორტუგალია | ესპანეთი | იაპონია | ავსტრალია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აირტონ სენა<br>ბრაზილია | მაკლარენი | 10 | 10 | 10 | 10 | — | 4 | 4 | 3 | — | 10 | 10 | 6 | 6 | | | | 83 |
| 2 | ნაიჯელ მენსელი<br>დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | — | — | — | 6 | 1 | 6 | 10 | 10 | 10 | 6 | — | 10 | — | | | | 59 |
| 3 | რიკარდო პატრეზე<br>იტალია | უილიამსი | — | 6 | — | — | 4 | 10 | 2 | — | 6 | 4 | 2 | — | 10 | | | | 44 |
| 4 | გერჰარდ ბერგერი<br>ავსტრია | მაკლარენი | — | 4 | 6 | — | — | — | — | 6 | 3 | 3 | 6 | 3 | — | | | | 31 |
| 5 | ალენ პროსტი<br>საფრანგეთი | ფერარი | 6 | 3 | — | 2 | — | — | 6 | 4 | — | — | — | 4 | — | | | | 25 |
| 6 | ნელსონ პიკე<br>ბრაზილია | ბენეტონი | 4 | 2 | — | — | 10 | — | — | 2 | — | — | 4 | 1 | 2 | | | | 25 |
| 7 | ჟან ალეზი<br>საფრანგეთი | ფერარი | — | 1 | — | 4 | — | — | 3 | — | 4 | 2 | — | — | 4 | | | | 18 |
| 8 | სტეფანო მოდენა<br>იტალია | ტირელი | 3 | — | — | — | 6 | — | — | — | — | — | — | — | — | | | | 9 |
| 9 | ანდრეა დე ჩეზარისი<br>იტალია | ჯორდანი | — | — | — | — | 3 | 3 | 1 | — | 2 | — | — | — | — | | | | 9 |
| 10 | რობერტო მორენო<br>ბრაზილია | ბენეტონი | — | — | — | 3 | — | 2 | — | — | — | — | 3 | — | — | | | | 8 |

## ძიუდო

# იამასიტას მემკვიდრე

იაპონელი ნაგოია ოგავა, რომელმაც ბარსელონაში მეოთხედ გამარჯვა მსოფლიო ჩემპიონატში, დღეს პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ძიუდოისტია. ამგვარი რანგის ტურნირებში მოპოვებულ გამარჯვებათა რიცხვით იგი ლეგენდარულ ხეიზო ფუჯიმა და იასუპირო იამასიტას გაუტოლდა.

ოგავამ თავი პირველად 1987 წელს გამოიჩინა, როცა გერმანიის ქალაქ ესენში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ცხრამეტი წლის დებიუტანტმა აბსოლუტურ პირველობაში ყველა მეტოქე ჩამოიტოვა და უძლიერესის სახელი მოიპოვა. ძიუდოს სპეციალისტებისთვის ოგავას გამარჯვება მეტად მოულოდნელი იყო, ვიდრე ასპარეზობის ოქროს მედლის მოპოვება. იმ დროისათვის სარბიელზე აღარ გამოდიოდა იაპონიის ხალხის კერპი იამასიტა, ხიტოსი საიტო კი უკვე კრიტიკულ ასაკს უახლოვდებოდა. იაპონელ ძიუდოს თაყვანისმცემლებს სურდათ ოგავა ამ სახელგანთქმულ სპორტსმენთა ღირსეული მემკვიდრე ყოფილიყო. ნაგოიამ გაამართლა მათი იმედები.

მართალია, თავიდან ყველაფერი ისე როდი აეწყო, როგორც თავად ათლეტს სურდა. ესენში თავისი პირველი გამარჯვებიდან ერთი წლის შემდეგ მას დიდი გულისტკივილი ელოდა. ოგავა სეულის 1988 წლის ოლიმპიადაზე ოცნებობდა, მაგრამ იქ აბსოლუტურ პირველობაში მედალი არ თამაშდებოდა და ეროვნული ნაკრების მწვრთნელებმა მძიმე წონაში გამოსვლა მრავალნაცად ხიტოსი საიტოს — 1983 წლის მსოფლიო ჩემპიონსა და ლოს-ანჯელესის 1988 წლის ოლიმპიადაში გამარჯვებულ ათლეტს მიანდეს. სეულში საიტომ პირველობა მოიპოვა და სამინელი სირცხვილისაგან იხსნა თავისი გუნდი: მას გარდა იაპონელ ძიუდოისტ-აგან ოლიმპიური ტურნირის ოქროს მედალი არავის მიუღია. ნაგოია ყველაფერს ამას ტელევიზიით ადევნებდა თვალს.

ამ ნიჭიერ ათლეტს ძიუდოს ქართველი მოყვარულები რამდენიმე თვის შემდეგ გაეცნენ. ოგავა მონაწილეობდა მსოფლიო უნივერსიადაში, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა. აქ მან ყველას აჯობა მძიმე წონაში. მაგრამ ტოკიოელი სტუდენტისათვის მართლაც ტრიუმფული გამოდგა 1989 წელი. ნაგოიამ ჯერ უძლიერესის ტიტული დაისაკუთრა ეროვნული ჩემპიონატის აბსოლუტურ პირველობაში, მერე ბელგრადში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ორი ოქროს ჯილდო დაიმსახურა.



ნაგოია ოგავა

იაპონიის ნაკრების მწვრთნელები დარწმუნებული იყვნენ, რომ წლეულს ბარსელონის მსოფლიო ჩემპიონატში ოგავა კვლავ ორ უმაღლეს ჯილდოს მოიპოვებს. მაგრამ პირველ დღეს სპორტსმენს ხელი მოეცარა. სპეციალისტებმა ეს ამბავი ტურნირის ყველაზე დიდ სენსაციად მიიჩნიეს: ნახევრადმძიმე წონაში იაპონელი მოულოდნელად დამარცხდა და მხოლოდ მესამე ადგილზე დარჩა. მაგრამ ნაგოიამ შეძლო რეაბილიტაცია აბსოლუტურ პირველობაში, სადაც ფინალში ქუთაისელ დავით ხახალეიშვილს სძლია, ნაგოიამ შეძლო ხახალეიშვილი.

— ძიუდოისტის კიმონო პირველად რომ ჩავიცვი, ექვსი წლის ვიყავი. მალე მივხვდი, რომ ძნელ საქმეს მოვკიდე ხელი. ძიუდოისტობა საპატიოა, მაგრამ ძალიან ძნელიც არის. წარმატება მხოლოდ კოლოსალურ შრომის ფასად შეიძლება მოიპოვო. ძიუდო იაპონელისთვის მხოლოდ სპორტი როდია, ეს მისთვის აზროვნების წესიც არისო, ასე მეუბნებოდა ჩემი პირველი მწვრთნელი, პატივცემული იოშიმი ჰარა. მე დიდად დავალებული ვარ მისგან, — ამბობს ნაგოია ოგავა.

როცა „დიდი იამასიტას" ფენომენზე დაიწყებოდა საუბარი, სპეციალისტები აღნიშნავდნენ, რომ სრული იდეალისთვის მას 10 სანტიმეტრი სიმაღლე აკლდა. ნაგოიას ლეგენდარულ წინაპართან შედარებით ამ მხრივ გადამეტებულიც აქვს: სიმაღლე — 193 სმ, წონა — 113 კგ. ნაგოია უდიდესი ძალის პატრონია, ტექნიკური ილეთების მდიდარი არსენალი აქვს. ჩოქებისას კი დღეს ბადალი არ მოეძებნება. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ნაგოია ჯერ მხოლოდ ოცდასამი წლისაა, მომავალში მისგან დიდ წარმატებებს უნდა ველოდეთ.

— იამასიტას მემკვიდრის სახელის მოპოვება ოცნებად აქვს გადაქცეული იაპონიის ბევრ ახალგაზრდა ძიუდოისტს. იამასიტა არა მარტო ტატამის შეუდარებელი ოსტატია, არამედ ნამდვილად ღირსეული ადამიანიც. ვისაც სურს სპორტის ისეთივე მწვერვალები დეიპყროს, პირველ ყოვლისა, იასუჰ იროსავით კეთილშობილი სული უნდა ჰქონდეს, — ამბობს ნაგოია ოგავა, რომლის მზერაც ახლა ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადისკენ არის მიმართული. იგი არ მალავს, რომ გულით უნდა თავის კოლექციაში ოლიმპიური ოქროს ჯილდოც იხილოს და თავს არ დაზოგავს ამ მიზნის მისაღწევად.

შალვა შალოლაშვილი,

ავტორის ფოტო.

# XIV ეტაპი

(29 სექტემბერი)

**ესპანეთი**

1990 — ალენ პროსტი
1989 — აირტონ სენა
1988 — ალენ პროსტი
1987 — ნაიჯელ მენსელი
1986 — აირტონ სენა




ფორმულა 1 ავტორბოლაში ესპანეთის გრან პრის გათამაშება ბოლო ხუთი წელი სევილიის მახლობლად, ჰერეს დელა ფრონტერას ტრასაზე ეწყობოდა. წლეულს ასპარეზობა ბარსელონაში გაიმართება. კატალონიის დედაქალაქის ახალი ტრასის სიგრძე 4747 მეტრია. პილოტებს 65-ჯერ მოუწევთ ამ წრის შემოვლა — რაც 308,555 კმ-ს შეადგენს.

ბარსელონაში მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი ადრეც გამართულა. მაგალითად, ზუსტად ოცი წლის წინ, იქ ლეგენდარულმა ბრიტანელმა ჯეკი სტიუარტმა გაიმარჯვა. ხოლო მეორე ადგილზე გავიდა ცნობილი ბელგიელი ავტო და მოტომრბოლელი ჯეკი იქსი, რომელიც დღესაც საჰეს უზის და სხვადასხვა რალიში იღებს მონაწილეობას.




შეიძლება ისე მოხდეს, რომ სწორედ ბარსელონაში, ზეგ გადაწყდეს ჩემპიონობისათვის ბრძოლის ბედი. საკმარისია აირტონ სენა თუნდაც მეორე მივიდეს ფინიშთან და დარჩენილი ორი ეტაპის შედეგების მიუხედავად იგი ვადამდე მოიპოვებს უძლიერესის ტიტულს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთ რბოლაში ფრანგი ალენ პროსტი ხუთივეჯერ საპრიზო სამეულში იყო. და ბოლოს, შარშანდელ რბოლაში სენას „მაკლარენს" მექანიკოსებმა ოთხივე საბურავი წარმოუდგენლად სწრაფად — 5,7 (!) წამში გამოუცვალეს.

## მარიტა პასუხს ითხოვს

ყოფილმა გდრ-ის მძლეოსნობის „დედოფალმა" მარიტა კოხმა სასამართლოში უჩივლა ჟურნალ „შპიგელს". ამ გავლენიანმა ჟურნალმა ამასწინათ გამოაქვეყნა რეპორტაჟი, რომელშიც აღმოსავლეთ გერმანიის მძლეოსნები მხილებულნი არიან ანაბოლიკური სტეროიდების გამოყენებაში. „შავ სიაში" მოხვდნენ ისეთი ცნობილი ათლეტები, როგორებიც არიან ჰაიკე დრექსლერი, ულფ ტიმერმანი, ილონა სლუპიანეკი, მარიტა კოხი, ჰაიდი კრიგერი, დეტლეფ მიხელა, უვე ჰონი და მრავალი სხვა.

რაც შეეხება სახელდობრ კოხს, ჟურნალი ამტკიცებს, რომ როსტოკელი სპორტსმენი რეგულარულად იღებდა 1460 მ.გ. სტეროიდ „ორალტურინაბოლს", რაც შეიძლება შევადაროთ კანადელი სპრინტერის ბენ ჯონსონის მიერ მიღებულ დოზებს:

— ბრალდებები, თითქოს მე დოპინგს ვიყენებდი, თავიდან ბოლომდე ფიქციაა და მე პასუხს ვითხოვ. საქვეყნოდ განაცხადა მარიტა კოხმა, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა 400 მეტრზე სირბილში. იგი არის მსოფლიოს 14 რეკორდის ავტორი. თავის საჩივარში კოხი „შპიგელისაგან" ითხოვს 1,5 მილიონ მარკას (767 ათასი დოლარი) მორალური ზარალისათვის.

## ფინალი: აშშ — საფრანგეთი

დევისის თასის წლევანდელი გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან აშშ-ს და საფრანგეთის ჩოგბურთელები. ამერიკელებმა საკუთარ „კედლებში" მძიმე ბრძოლაში სძლიეს გერმანელებს — 3:2. ფრანგებმა, ასევე შინ, სრული უპირატესობით დაამარცხეს იუგოსლაველები — 5:0. ფინალური შეხვედრა შედგება 29 ნოემბერს — 1 დეკემბერს

## სკანდინავიამ აღიარა

„ევროპისა და მსოფლიო ფეხბურთის თავკაცებმა თვალი უნდა ადევნონ პოლიტიკურ დინებებს და ოფიციალურად აღიარონ ბალტიისპირეთის ქვეყნები როგორც დამოუკიდებელი საფეხბურთო ორგანიზაციები, რომლებიც სსრკ ფეხბურთის ფედერაციას აღარ ექვემდებარებიან" — წერია სკანდინავიის ხუთი ქვეყნის საფეხბურთო ორგანიზაციების ფიფა-სა და უეფას-სადმი მიმართვაში.

თავიანთ განცხადებაში ჩრდილოეთის საბჭოში გაერთიანებული ეს ქვეყნები, საერთაშორისო ფედერაციებს თხოვენ დაუყოვნებლივ მიიღონ თავიანთ რიგებში სამი განთავისუფლებული ქვეყანა: ლატვია, ლიტვა და ესტონეთი. ახლა სკანდინავიის საფეხბურთო ორგანიზაციები მოკლებულნი არიან კონტაქტს ამ ქვეყნების მონათესავე ორგანიზაციებთან, რამეთუ ფიფა-ს წევრებს უფლება აქვთ ითამაშონ მხოლოდ იმ ქვეყნებსთან, რომლებიც ასევე ამ ორგანიზაციათა წევრები არიან. შემდგომ განცხადებაში წერია, რომ აღნიშნული მოთხოვნები სამართლიანია, რადგან სსრკ-ს ხელისუფლებამ ბალტიისპირეთის ქვეყნების დამოუკიდებლობა აღიარა.

## შენც, იანის?



იანის ლუსისი

„ახლა მე ვიცი, რომ ვიღებდი ჰორმონალურ პრეპარატებს, მაგრამ ჩემი მოქმედება არ იყო წინასწარ გამიზნული. მე მოტყუების მსხვერპლი გავხდი." — ეს აღიარება 1968 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს, მშვილდოსან იანის ლუსისს ეკუთვნის. ფინური გაზეთ „იდიტა-სანომატისათვის" მიცემული ინტერვიუში წარსულში ცნობილმა ათლეტმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელები არწმუნებდნენ ზოგიერთი ათლეტის დარწმუნებას იმაში, რომ მასტიმულირებელი საშუალებები შედეგის გაუმჯობესებასაც ხელს უწყობენ და ათლეტსაც ნამდვილ სუპერმენად აქცევენ.

ლუისმა ხაზი გაუსვა, რომ დროულად მოეგო გონს და უარი თქვა მასტიმულირებელი საშუალებების მიღებაზე: „ჩემს საუკეთესო შედეგების სტიმულატორების გარეშე მივაღწიე და მსოფლიო რეკორდიც — 91,98 — აბსოლუტურად „სუფთამ" დავამყარე.

## ჩინელები ბარსელონაში მიდიან

ჩინეთის ქალთა კალათბურთელებმა ერთდროულად ორი გამარჯვება იზეიმეს. იაპონიის ქალაქ კობეში გამართულ აზიის ჩემპიონატში მათ პირველი ადგილი დაიკავეს და ამ რეგიონიდან ბარსელონას 1992 წლის ოლიმპიადის ერთადერთი საგზური მოიპოვეს. ფინალში ჩინელებმა დაამარცხეს სამხრეთ კორეის გუნდი — 104:88.

## „უილიამს - რენოს" წარმატების საიდუმლოება



ფრენკ უილიამსი — „უილიამსის" ყველაზე ერთგული ქომაგი.

ინგლისურ-ფრანგული ფირმა „უილიამს—რენოს" გუნდი მიმდინარე სეზონში საოცარ აღმავლობას განიცდის. მისი ჩქაროსნული ბოლიდები ფორმულა 1-ის რბოლებში ჯერ-ჯერობით უსწრაფესი არიან. მხოლოდ ბრაზილიელი აირტონ სენა უწევს მათ ძლიერ კონკურენციას, თუმცა მსოფლიო ჩემპიონი მოითხოვს, რომ „მაკლარენ-ჰონდას" შეფებმა სასწრაფოდ გააუმჯობესონ მანქანათა ძრავები, რომლებიც თავისი სიმძლავრით და საიმედოობით მომავალში „რენოს" ტოლს არ დაუდებენ.

ეს, ალბათ, გაისად მოხდება, ჯერ-ჯერობით კი „უილიამსის" ხელმძღვანელი ფრენკ უილიმსი, ოქსფორდის მახლობლად, თავის ოფისში, გუნდის წარმატებათა „საბუღალტრო აღრიცხვას" აწარმოებს. 1976 წლის ავტოკატასტროფის შედეგად ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული, იგი ფორმულა 1—ის ერთ შეჯიბრებასაც არ ტოვებს, ყოველთვის გუნდის გვერდით არის, რომელიც 1980 და 1982 წლებში მსოფლიო ჩემპიონი იყო და ახლა მიზნის მესამედ მიღწევის დიდი შანსი აქვს. მან 1977 წელს უცნობ კონსტრუქტორ პატრიკ ჰედთან ერთად დაარსა ბოლიდების ფირმა, რომლის დაფინანსება არაბულმა ავიაკომპანია „საუდიამ" იკისრა. დროთა განმავლობაში, საერთო ძალებით მოხერხდა უახლესი ტექნოლოგიის მქონე საწარმოს შექმნა, წლიური ბიუჯეტით — 120 მილიონი მარკა. სარბოლო მანქანების მოდელებს (საბურავისა და ძრავის გარდა) 175 კვალიფიციური სპეციალისტი ქმნის. „უილიამსის" აეროდინამიკური მახასიათებლები დღეს სამაგალითოდ ითვლება. ასევე საუკეთესოა მათი სიჩქარეთა ნახევრადავტომატური კოლოფები.

პრაქტიკულმა და პრაგმატულმა ბიზნესმენმა დროულად შენიშნა, რომ ფრანგული ფირმა „რენო" ჩინებულ ძრავებს უშვებს და მასთან ხელშეკრულება გააფორმა. „რენო", „უილიამსს 10 — ცილინდრიანი, ძლიერ საიმედო, ალუმინის, მაგნიუმის, ტიტანის, ფოლადის და კერამიკისგან დამზადებული ძრავებით ამარაგებს. თითოეული ასეთი აგრეგატი 400 ათასი მარკა ღირს. წელს „უილიამსისათვის" ათი ძრავი დაამზადეს.

„უილიამს-რენოს" პილოტებიც ყოველთვის ძლიერები ჰყავდა. ყველაფერი ეს ერთად აღებული კი ინგლისურ-ფრანგული ფირმის წარმატებას განაპირობებს.

## აქეთური, იქითური...

ინგლისელმა მოკრივემ ფრენკ ბრუნომ, რომელმაც 1989 წელს გამანადგურებელი მარცხი იწვნია ამერიკელი მაიკ ტაისონისგან, მსოფლიო კრივის ასოციაციის ყველაზე პრესტიჟული ვერსიის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის გამართულ მატჩში, გადაწყვიტა დიდ რინგზე დაბრუნება. აღსანიშნავია, რომ მას ტაისონთან მარცხის შემდეგ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. ამჯერად ბრუნო უმიზნებს უფრო მოკრძალებულ პრიზს — მსოფლიო კრივის ასოციაციის ჩემპიონის ტიტულს, რომელიც ამჟამად ამერიკელ რეი მერსერს ეკუთვნის.

• • •

ყინულზე სპორტულ ცეკვებში პოპულარულმა ფრანგულმა წყვილმა- იზაბელ და პოლ დუშენებმა გამოაცხადეს თავიანთი ახალი პროგრამის შესახებ, რომლითაც ისინი წარსდგებიან 1992 წლის ალბერვილის ოლიმპიადაზე. და-ძმამ თავიანთ ახალ კომპოზიციას საფუძვლად დაუდეს ცნობილი მიუზიკლის „ვესტსაიდის ისტორიის" მუსიკა. ეს იდეა პირველად წარსულში ცნობილ მოციგურავეს, ამჟამად კი იზაბელ დუშენეს მეუღლეს კრისტოფერ დინს გაუჩნდა. მას მთლიანად დაუჭირეს მხარი იზაბელმა და პოლმა.

• • •

კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გაატარა ქვეყანაში რიგი რეფორმებისა ამ პოპულარული თამაშის „გასასუფთავებლად". პირველ რიგში ეს „ჩაწყობილ" თამაშებს ეხება. წლევანდელ ჩემპიონატში დანერგილ სიახლეებს შორისაა ქულათა დარიცხვის ახალი სისტემა. გუნდი მოგებისათვის მიიღებს 3 ქულას, ფრეზე — ერთს, წაგებისათვის კი ნოლს.

• • •

პროფესიულ კრივში ყველაზე გავლენიანი ორგანიზაციის მსოფლიო კრივის საბჭოს პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანში, ბანგკოკში სხდომაზე განიხილავენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბოიკოტის გაუქმების საკითხს. ამას გარდა, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროფესიული კრივის მომავალს ძირითადად უკავშირებს აღმოსავლეთ ევროპის სპორტსმენებს, რომლებსაც დიდი პოტენციალი გააჩნიათ და სწრაფად პროგრესირებენ.

• • •

ერთ დროს მსოფლიოში უძლიერესთ, აშშ—ს ძალოსნებს განზრახული აქვთ კვლავ დაიბრუნონ მოწინავე პოზიციები. ამ მიზნით ნაციონალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა პირველად შექმნა სპეციალური საწვრთნელი ცენტრი კოლორადო—სპრინგსში. ახლა იქ მზადებას გადის სხვადასხვა წონითი კატეგორიის შვიდი ნიჭიერი სპორტსმენი. სპეციალისტთა აზრით, მათ შეუძლიათ თავის გამოჩენა უკვე მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე ბარსელონაში.

• • •

ევროპის საკალათბურთო კალენდარში გაჩნდა კიდევ ერთი ტურნირი — ინტერნაციონალური ავსტრია-უნგრეთ-ჩეხეთ-სლოვაკეთის სუპერლიგა. მასში 12 გუნდი შევიდა, ოთხ-ოთხი ყოველი ქვეყნიდან. პირველ ეტაპზე თითოეული მათგანი მეტოქეებთან ორ-ორ მატჩს გამართავს, შინ და სტუმრად, რის შემდეგ ოთხი საუკეთესო „ფლეი ოფის" სისტემით უძლიერესის ტიტულს გაითამაშებს.

აქეთური, იქითური...

PALAVANI · ПАЛАВАНИ
ფალავანი

„სარბიელის" სპონსორია ასოციაცია „ფალავანი"

გამოდის პარასკეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380096, კოსტავას ქ. №14
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ძსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჟუღუხაძე.